ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება
G E O R G I A
THE ORDER OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY

განკარგულება:**g-135. 135223631**
თარიღი:**29/12/2022**

მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მულახის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის (ს/კ: 42.05.04.707), მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 42.04.33.435) გაცვლის შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ.ზ“ პუნქტის, ამავე კოდექსის 122-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის, და სამოქალაქო კოდექსის 521-ე მუხლის საფუძველზე
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1.მიეცეს თანხმობა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას, მოახდინოს მესტიის მუნიციპალიტეტის მულახის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 223 კვ.მ მიწის ნაკვეთის ს/კ: 42.05.04.707 გაცვლა, ამავე ტერიტორიულ ერთეულში მდებარე 400 კვ.მ მიწის ნაკვეთში ს/კ: 42.04.33.435
2.მიღებული განკარგულება გადაეგზავნოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას.

3.განკარგულება ძალაში შევიდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. (მისამართი: ქ.ზუგდიდი გრ.ქობალიას ქ №12ᵃ).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი